






სტილი







განვიხილოთ როგორ ფუნქციონირებს სტილი სამუშაო არეში გამოტანილ ეკრანზე. სისტემაში შეგიძლიათ ააწყოთ თქვენთვის სასურველი სტილები. ეს სტილები გადაიტანოთ სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში .სამუშაო ეკრანები გახადოთ თქვენთვის კიდევ უფრო მეტად მოსახერხებელი. სტილის აწყობა განვიხილოთ ნაშთების ეკრანის მაგალითზე. **ბუღალტერია/შედეგები/ნაშთები.**


ანგარიში	დასახელება	დებიტი ეკვივალენტი	კრედიტი ეკვივალენტი
2000	გრძელვადიანი აქტივები	3,365.00	
2100	ძირითადი საშუალებები	3,500.00	
2150	მანქანა-დანადგარები	3,500.00	
-2150 1	0001 ძირითადი საშუალება	1,500.00	
2150 2	0002 ძირითადი საშუალება1	2,000.00	
2200	ძირითადი საშუალებების ცვეთა		135.00
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა		135.00
2250 1	0001 ძირითადი საშუალება		135.00
7000	საოპერაციო ხარჯები	135.00	
7400	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯ...	135.00	
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	135.00	

სტილის ღილაკის არჩევა შესაძლებელია როგორც ინსტრუმენტების პანელზე არსებული ღილაკებიდან.  ასევე ეკრანზე მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოტანილ ამოცურებად მენიუდან

	ფილტრი (Ctrl+T)
	დალაგება
	სტილი (F10)
	ექსპორტი

და ინსტრუმენტების მენიუდან:

ინსტრუმენტები	ფ
	ბეჭდვა (Ctrl+P)
	ძიება
	ფილტრი (Ctrl+T)
	დალაგება
	სტილი (F10)
	ექსპორტი



სტილის ეკრანის მარცხენა მხარეს მოცემული გვაქვს სამუშაო არის სხვადასხვა ზონა. განვიხილოთ თუ როგორ შეიძლება აინყოს სტილი თითოეულზე .

დადექით ჩანაწერზე „ბადის სტილი“.ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია მოსანიშნი „ვაჩვენოთ სტატისტიკა“, თუ მონიშნავთ მოსანიშნს სამუშაო ეკრანის ქვედა მხარეს გაჩნდება დამატებითი ზოლი,სადაც სტატისტიკის ფუნქციის დახმარებით გამოიტანთ ველის სხვადასხვა მნიშვნელობებს (სტატისტიკის ფუნქციებს მოგვიანებით განვიხილავთ დანვრილებით). მოსანიშნის „ვაჩვენოთ შეკუმშული ხე “ მონიშვნით ეკრანზე გამოჩნდება მხოლოდ ზედა დონის ჩანაწერები.(ამ შემთხვევაში ზედა დონის ანგარიშები). მოსანიშნის „ვაჩვენოთ მოსანიშნი ბადის ბექდვისას“ მონიშვნით მონაცემთა ბადის დაბეჭდვისას სვეტები რომელშიც მოცემულია , მსგავსი მონიშვნები ამ სახით დაიბეჭდება და არა True და False

„სვეტის ქუდი“ მოცემულია მოსანიშნი „ხილული “ თუ მოსანიშნს არ მონიშნავთ გაქრება ეკრანზე სვეტების ქუდები.

„სიმაღლე “ ამ ველში მითითებული მნიშვნელობა განსაზღვრავს ქუდის სიმაღლეს შეგიძლიათ შეცვალოთ სურვილისამებრ..

ველში “ტექსტის მიჯრა“ მითითებული მნიშვნელობა განსაზღვრავს ქუდის დასახელების მდებარეობას . თუ გსურთ ტექსტის მდებარეობის შეცვლა .ჩამოშალეთ შავ ისარზე მაუსის დაწკაპებით ჩამოშლადი სია და შეცვალეთ მითითებული მნიშვნელობა.

მოსანიშნის „გავაყოლოთ სვეტების დასახელება მონაცემების მეხსიერებაში კოპირებისას“ მონიშვნისას თუ მონიშნავთ ეკრანში მონაცემებს და გააკოპირებთ გაყვება ეკრანის ქუდიც (ველების დასახელებები)

ეკრანზე „ჩანაწერის ქუდი“ მოცემულია მოსანიშნი „ვაჩვენოთ ჩანაწერის ნომერი “ , მოსანიშნის მონიშვნით მონაცემთა ბადეში ჩანაწერები დაინომრება.

ჩანაწერის „სვეტის სტილი“ ქვემოთ მოცემულია ყველა ის ველი, რომელსაც შეიცავს სამუშაო არეში გააქტიურებული ეკრანი. ჩვენს შემთხვევაში მოცემულია „ნაშთებში“ არსებული ყველა ველი.მუქად ნაჩვენებია აქტიური, ანუ ის ველები რომლებიც ჩანს ეკრანზე. ღია ფერის ველები ეკრანზე არ ჩანს, მაგრამ შეგიძლიათ გამოაჩინოთ. დადექით ველზე რომლის გამოჩენაც გსურთ და სტილის ეკრანის მარჯვენა მხარეს მონიშნეთ მოსანიშნი „ხილული“ .

„გაყინულია“ მოსანიშნის მონიშვნით ხდება სვეტის ფიქსირება.

ველში „ჩვენების ნომერი“ მითითებულია სამუშაო არეში გააქტიურებულ ეკრანზე რიგით მერამდენე ადგილზეა სვეტი რომელზეც დგახართ ეკრანის მარცხენა მხარეს. შეგიძლიათ თქვენი სურვილისამებრ გადაადგილოთ კონკრეტული სვეტი. გადაადგილება ხდება რიგითი ნომრის შეცვლით. ასევე სვეტის ადგილის შეცვლა შესაძლებელია სვეტზე მაუსის მოკიდებით და ბევით ან ქვევით გადაადგილებით. სვეტის მდებარეობის შეცვლის შემდეგ ველში „ჩვენების ნომერი“ მნიშვნელობა შეიცვლება

ველში „სიგანე“ მითითებულია სვეტის სიგანე შეგიძლიათ ეს სიგანე შეამციროთ ან გაზარდოთ სურვილისამებრ.

ნებისმიერი სვეტის ქუდს შეგიძლიათ შეუცვალოთ სახის ფერი. დაანკაპეთ ველზე „სახის ფერი“ გადით ფერების ჩამონათვალზე აირჩიეთ ნებისმიერი ფერი და დააჭირეთ ღილაკს „OK“. ასევე შეგიძლიათ სვეტის ქუდის ფონის ფერის შეცვლა. დააჭირეთ ღილაკს „ფონის ფერი“ აირჩიეთ ნებისმიერი ფერი და დააჭირეთ ღილაკს „OK“.

ბარათში „ბადე“ სვეტების მახასიათებლები იცვლება იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის ველია. თუ არის ციფრული (მაგ: დადებით სვეტზე „სადებეტო ნაშთი“), მაშინ ეკრანი გამოიყურება შემდეგ ნაირად:

ტექსტის მიჯრა	MiddleRight	<input type="checkbox"/> ვარჯნოთ NULL
ფორმატი	#,##0.00;-#,##0.00;#	
სტატისტიკის ფუნქცია	SUM	<input type="checkbox"/> ვარჯვნოთ ხე

ველში „ტექსტის მიჯრა“ მითითებულია თუ სად უნდა მდებარეობდეს ტექსტი. შეგიძლიათ ჩამოშალოთ ჩამონათვალი ისარზე დაანკაპებით და შეცვალოთ.

ტექსტის მიჯრა	MiddleRight
	BottomCenter
	BottomLeft
	BottomRight
	MiddleCenter
	MiddleLeft
	MiddleRight
	TopCenter
	TopLeft
	TopRight
	NotSet

ველში „ფორმატი“ მითითებულია ციფრის დამრგვალების ფორმატი რომელსაც გვარჯვენებს სისტემა ეკრანზე. შეგიძლიათ შეცვალოთ დამრგვალების ფორმატი.

ტექსტის მიჯრა	MiddleRight
	#,##0.00;-#,##0.00;# #0.00;-#0.00;# #0.0000;-#0.0000;# #0.000000;-#0.000000;# #,##0.00;-#,##0.00;# #,##0.0000;-#,##0.0000;# #,##0.00000000;-#,##0.00 C C4 D D6 E F2 F4 N0 N2 N4 P X

ველში“ სტატისტიკის ფუნქცია „ მოცემულია ფუნქციები თუ რა სახით უნდა ჩანდეს ეკრანის ბოლოში სტატისტიკა .გაჩვენოთ სვეტის ჯამი , ყველაზე დიდი ციფრი, ყველაზე პატარა ციფრი თუ საშუალო.

ტექსტის მიჯრა	MiddleRight
	#,##0.00;-#,##0.00;#
	SUM
	SUM
	MIN
	MAX
	AVG

ველის „გაჩვენოთ NULL“ მონიშვნის შემთხვევაში ,ცარიელი ველების ნაცვლად ეკრანზე ჩანს „0“.


თუ ველი არის ტექსტური მაშინ ბარათი „ბადე“ გამოიყურება შემდეგნაირად:

ბადე	ტექსტის მიჯრა	NotSet	<input type="checkbox"/> ვაჩვენოთ NULL	<input type="checkbox"/> მულტი სტრიქონი	<input type="checkbox"/> ვაჩვენოთ ზე
-------------	---------------	--------	--	---	--------------------------------------

ბარათში „ფონტი“

ფონტი	სახელი		
<u>სახის ფერი</u>	<input type="text" value="0"/>	<u>ფონის ფერი</u>	<input type="text" value="0"/>
<u>მონიშნ.სახე</u>	<input type="text" value="0"/>	<u>მონიშნ.ფონი</u>	<input type="text" value="0"/>

ველზე „სახელი“ დანკაპებისას სისტემა გადის ეკრანზე სადაც შეგიძლიათ აირჩიოთ ჩანაწერების ფონტი, ფონტის ზომა და ა.შ



ეკრანში შეტანილი ცვლილების დამახსოვრებისათვის დააჭირეთ ღილაკს „OK“

ჩანაწერების სახის ფერის შეცვლა შეგიძლიათ ველიდან „სახის ფერი“.


ფონის ფერის შეცვლა ველიდან „ფონის ფერი“.

მონიშნული ჩანაწერის სახის ფერის შეცვლა შესაძლებელია ველიდან „მონიშნ.სახე“

მონიშნულის ჩანაწერის ფონის ფერი - „მინიშნ.ფონი“


იმისათვის რომ აისახოს თქვენს მიერ სტილის ეკრანში შეტანილი ცვლილებები, სამუშაო არეში გამოტანილ ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს „მოვარგოთ სტილი და შევინახოთ“ .

თუ გსურთ რომ თქვენს მიერ აწყობილი სტილი გაუზიაროთ სხვასაც ან გადაიტანოთ სხვა მონაცემთა ბაზაში. გახსენით სტილის ეკრანი დააჭირეთ ღილაკს „ფაილი “ ჩამოიშლება მენიუ:




დააჭირეთ ჩანაწერს „შევინახოთ ფაილში“ მიუთითეთ მარშუტი და ფაილის დასახელება. შეგიძლიათ ამ სახით დამახსოვრებული სტილი გადაწეროთ სხვა კომპიუტერზე და გამოიყენოთ. ასე შენახული სტილის სხვა მონაცემთა ბაზაში რომ ჩატვირთოთ ბაზაში. გახსენით სტილის ეკრანი დააჭირეთ ღილაკს „ფაილი “ ჩამოშლად მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერი „ჩამოვტვირთოთ ფაილიდან“ . მოძებნეთ კომპიუტერში თქვენს მიერ შენახული სტილის ფაილი და დააჭირეთ ღილაკს „OPEN“.

სტილი შეგიძლიათ დაიმასოვროთ მონაცემთა ბაზაში და დაარქვათ თქვენთვის სასურველი სახელი. ამ შემთხვევაში ავირჩიოთ ჩანაწერი „შევიწახოთ მონაცემთა ბაზაში“ . გამოვა ეკრანი:



სისტემას ავტომატურად მოყვება ყველა ეკრანში საწყისი სტილი „StyleOris“ ველში „სტილის აღწერა“ მიუთითეთ თქვენთვის სასურველი სახელი მაგ. „ჩემი სტილი“. დააჭირეთ ღილაკს “OK”. დახურეთ ნაშთების ეკრანი და გახსენით თავიდან რათა სისტემამ აღიქვას თქვენს მიერ დამატებული სტილი. დააჭირეთ სტილის ღილაკის გვერდით მდებარე შავ ისარს. ჩამოიშლება სტილების მენიუ სადაც ერთ ერთი სტილი არის თქვენს მიერ შექმნილი.



დაანკაპეთ მაუსი იმ ჩანაწერზე, რომელი სტილითაც გსურთ ეკრანის დანახვა.